მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს.
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| ც. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

კრეისერ „პამიატ აზოვაზე“ იფეთქა არეულობამ. მოჰკლეს კამანდირი და 4 ოფიცერი კრონშტადტში სამხედრო საველა სასამართლომ, 7 მატროსს მიუსაჯა სიკვდილით დასჯა, ოფიცრების მოკვლისათვის. სამარაში მოჰკლეს ყუმბარით გუბერნატორი.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 38

კვირა, 23 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 38

„გლეხის“
რედაქცია
[გად]ავიდა სოლოლაკში განოვის [ქ]უჩაზე სახლი გურგენოვისა № 8
[ქ]ალაქის საბჭოს მახლობლად.

ქართული წარმოდგენა
ფუნიკულერზე.
[ვ]ინც წარმოდგენის ბილეთს იყი[დ]ის, იმას უფასოდ აიყვანენ და ჩამოიყვანე- ფუნიკულერით.
კვირას, 23 ივლისს
ქართული თეატრის არტისტები ბ.ბ. [აბ]აშიძე, გუნია, იმედაშვილი; ქ.ქ. ნე[ჟ]ერიძე, ჯალუსტოვისა, ახლად გამარ[თ]ულ სცენაზე გამართავენ წარმოდგენას
წარმოდგენილი იქნება
I
ქ უ ნ წ ი
კომ. 2 მოქმ. ერისთავისა.
II
[ს]აღამოს ერთი ცხვირი ხეირია
კომ. 1 მოქ. სუნდუკიანცისა.
[წ]არმოდგენა დაიწყება 8. საათზე
გათავდება 10-ზე.
[და]უკრავს გურულების ორკესტრი.
ადგილების ფასი ფინიკულერზე [ა]სვლა-ჩამოსვლით 40 კ დან 1 მ. [5]0 კ—მდე.
ბილეთები ამ თავითვე იყიდება [1]) წერა-კითხვ. წიგნის მაღაზიაში [2]) „პროგრესის“ მაღაზიაში ბულ[ვ]არზე და 3) გიორგი კორკაძესთან, [ს]ონის ქუჩაზე, ხოლო წარმოდგე[ნი]ს დღეს ფუნიკულერის კასასთან.
საჭმელ-სასმელების ფასი ერთი[ო]რად დაკლებულია.
წარმოდგენის გამგენი ვ. აბაშიძე
და ვ. გუნია.

## რა უნდა ვქნათ.

ისეთი მავნე პოლიტიკური ცრუ[მ]ორწმუნოებისათვის, როგორიც არის [რ]წმენა და იმედი პარლამენტის დი[დ]ი როლის, სოციალისტური ცხო[ვრე]ბის მოახლოვებაში, სოციალ[-დ]ემოკრატია ხარჯავს თავის იდეიურ [ძა]ლას და ზნეობრივ ენერგიას.

[პ]როლეტარიატის სოციალისტური [მის]წრაფების მიმართულება და ბუ[რჟ]უაზიული კლასსის მისწრაფების [მი]მართულება არიან ორი ერთი მე[ო]რის დიამეტრალურად წინააღმდეგი მოძრაობანი, რომლებიც ხვდებიან ერთმანეთს ერთ სოციალურ-პოლიტიკო-ეკონომიურ ხაზზე ამიტომ მათი სწორ-მომქმედი (равнодѣйствующая), მათი ალგებრაულ ჯამის ნაყოფი იქმნება. ამ ორ მოძრაობათა ნაყოფით განისაზღვრება საბოლოვო მოძრაობა. მაშასადამე პარლამენტი, რომელიც ისეთ ურთიერთობაშია სოციალისტურ პოლიტიკასთან, როგორც დღევანდელი ქარხანა მუშასთან, ვერასოდეს ვერ გაამართლებს მუშათა მოლოდინს, იმედებს რომლებსაც იმას ასაზრდოებიებს სოციალ-დემოკრატია. ამას გარედ პარლამენტი არა თუ იცავს თავისი „კანონებით“ პროლეტარიატის ინტერესებს, არამედ ის მუდამ ცდილობს, როგორც მოწინააღმდეგე ძალა მისცეს თავისი ხასიათი მის მოწინააღმდეგე სოციალისტურ მოძრაობას. ამიტომ იქ, სადაც მოპოვებული თავისუფლებები, „კანონით“ დამტკიცებულნი არ არიან ზურგ გამაგრებული მუდამ მისი გულისთვის რევოლიუციის მოსახდენად მომზადებული მუშებისაგან, მოსალოდნელია ყოველთვის და არა თუ მხოლოდ მოსალოდნელია არამედ უეჭველია თვით ამ უკვე მოპოვებული „კანონების“ შერჩენა. მხოლოდ იქ სადაც პროლეტარიატი, არა თუ მზათ არის რევოლიუციისათვის, არამედ ცდილობს მოახდინოს რევოლიუცია, სწარმოებს წინ-სვლა და მაშასადამე პარლამენტარიზმის იმედი, რომელიც დამყარებულია არა რეალურ სოციალურ ძალთა განწყობილებაზე, არამედ ხელოვნურ პოლიტიკურ ურთიერთობაზე, პარლამენტში, ცრუა, ამიტომ რწმენა ამ გვარი პოლიტიკისა ნამდვილი პოლიტიკური ცრუ-მორწმუნეობა არის და მაშასადამე მოქმედება, რომელიც ემყარება ცრუ-მორწმუნეობაზე, ცრუ სოციალისტურია, ე. ი. არ არის სოციალისტური.

ამით არ თავდება საქმე. უდიდესი, უმეტესი ენერგია სოც.-დემოკრატიული მოქმედებისა იხარჯება აი ამ პოლიტიკური ცრუმორწმუნოების ქება-დიდებაში და მისთვის ბრძოლაში იქ სადაც ეს პოლიტიკური ცრუმორწმუნოება არსებობს, ამგვარად სოც.-დემოკრატიული პარტიის ბრძანების ქვეშ მყოფი პროლეტარიატი ეწევა პოლიტიკური ტანტალის უღელს და თვით სოციალ-დემოკრატია კი პიუხედავად ამისა კბილითა და ბრჩხილით ჩაფრენია ამ პოლიტიკურ ცრუმორწმუნოებას და გამოაქვს ისტორიული დავიწყების მორევიდგინ, ქადაგებს მის თაყვანისცემას ზრდის მის მიმართ იმედებს დაჩაგრულთა გულში და იმყარებს სოციალურ ცრუმორწმუნოების ტაძარს—პარლამენტს.

ამგვარად თუ მივიღებთ მხედველობაში ყველა ნათქვას, ცხიდია და ადვილი დასანახავია საით უნდა გადიხაროს სიმართლის სასწორი, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს დებატები ანარქისტულ და სხვა პარლამენტარისტული სოციალისტების შორის

ეხლა თუ მივიღებთ მხედველობაში უტყუარ ისტორიულ მოსაზრებას და მასთან შეკავშირებულ ფიზიკურ მოსაზრებას, რომლებითაც ყველა მთავრობა და სახელმწიფო წარმოადგენს იძულებითი ორგანიზაციას, რომელიც მიმართულია გაბატონებულ კლასსების, პრივილეგიების დასაცვილათ და ამ გაბატონებულ კლასსების სურვილების დასაძალებლად დამონებულებზე, იმ შემთხვევაში ცხადია კიდევ არა თუ ის, რომ ამგვარი სოციალური ცხოვრება არის საკატორგო სამუშავოთა სისტემა, არამედ დავინახამთ იმასაც, როგორი უნდა იყოს ნამდვილი სოციალისტური ტაქტიკა.

ყოველი იდეა ძალის აიხსნება იმ ურთიერთობაში, რომელშიდაც **დაძალება** მიუცილებლად გამოიწვევს **გაძალებას** (всякая идея силы разрѣшается въ отношеніи давленія къ сопротивленію). ამიტომ თუ ბურჟუაზიის არსებობის conditio sine qua non, მიუცილებელი პირობა შესდგება იძულებითი ორგანიზაციაში ცხადია მასზე ლოღიკური მუსიკა ისეთ შთაბექდილებას ახდენს, როგორც საქმლის მოსანელებელი საშვალება. მაგრამ, რაც შეეხება ძალით მოქმედებას, ბურჟუაზიას ისე ეშინია მისი და იმოდენად, რამოდენათაც ის დარწმუნებულია იძულებაზე დაუმყარებლად თავის არსებობის შეუძლებლობაში.

მაშასადამე **პურჟუაზიული და ყველა სახელმწიფოებრივი წესწყობილება ძალით—პირდაპირი მოქმედებით და რევოლიუციით უნდა დაინგრეს.**

La question sociale est une question du litige entre la liberté et l'autorité litige qui peut efre resolu seulement par la force.

სოციალური კითხვა არის თავისუფლების და ბატონობის შორის დავის კითხვა, დავის, რომელიც გადაწყდება მხოლოდ ძალით.

რა გვარია შინაარსი ამ ბრძოლის?

პირველი და საუკეთესო ტაქტიკოსი და პრაქტიკოსი სოციალურ ბრძოლაში დღემდის მთავრობა იყო და არის, იმან კარგათ იცის, რომ ძალა დამგრეველიც არის და ამშენებელიც. მთელი ტაქტიკა მთავრობის და დამყარებულია ძალაზე და შიშზე—ტერრორზე რომელსაც ძალა უნერგავს გულში ადამიანს. იმგვარია რელიგიის, სარწმუნოების ტაქტიკა—რელიგიოზური ტერრორ. ამგვარია ბურჟუაზიის ტაქტიკა—სიკვდილი, ეკონომიური ექსპლოატაცია.

ამგვარია ყოველგვარ მჩაგვრელთა და მთავრობათა მოქმედების ლოღიკა.

როგორია ანარქისტული ლოღიკა მოქმედებისა? ანარქისტული მოქმედების ლოღიკა, არის დანგრევის ლოღიკა ყველაფერი იმის რაც მჩაგვრელობამ ააშენა. როდესაც ერთი მეორეს ებრძვიან თავისუფლება და ავტორიტეტი, ანარქია და მთავრობა, მაშინ სოციალ-დემოკრატია გამოკეტებულია შუაზე და როცა ბრძოლა ამ უკიდურეს ტაქტიკოსების შორის მიაღწევს უმწვერვალეს განვითარებას, მაშინ სოციალ-დემოკრატია კოზაკივით გამოისრისება ამ ორ აქლემის შუაში. ვნახოთ ეხლა როგორია ანარქისტული დანგრევის ლოღიკა.

F. La Flamme.

**სამართალი „სიმართლის“ რედაქციაში *).**

ათასნაირ ტანჯვა-წვალების გამოვლის შემდეგ დავბრუნდი ჩრდილოეთიდგან, საითკენაც გადატყორცნილი ვიყავი იანვრის შავი რეაქციის"ეპოქის დროიდანვე, ცნობილი დურნოვოს მეფობის დროს, მებრძოლ გენერალ-გუბერნატორი ბაუერის წყალობით. განა ვინ, არ დატანჯულა, ვის არ მისვლია ზარალი და ვის არ გაწყვეტია ცხოვრების სახსარი, რომ მარტო ჩემთვის იაფად დაესვა ბნელ ძალებს თავისი ბასრი კლანჭების დაღლება? მართალია სანამ თავისუფალი ვიყავი, სახელმწიფო დაწესებულების ჭერქვეშ მყოფს, არც იმდენად მიმიღია აქტიური მონაწილეობა განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაგრამ ცოტა თუ ბევრ მოღვაწეობის გამო მაინც მიმსხვერპლა რეაქციამ. ჩამომაშორა სახლ-კარს, ცოლ-შვილს, მშობლებს და საზრდო-საცხოვრებელ წყაროდან გამიშვლებულ-გატიტვლებული გამოველ. იმის არ იყოს—როგორც ნათქვამია: შიშველი დავბადებულვარ, შიშველივე ჩავალ საფლავშიო, სწორედ მეც ასე მომივიდა. დიახ, და ამასთანვე უფრო მეტად სანამ ორ-სამ კვირას ციხის კედლებში გავატარებდი საცოდავად გული მეწოდა ცას ქვეშ და უნათესავო და უსამშობლო მხარეს დარჩენილ ცოლ-შვილზე. ერთს წუთსაც არ მებადებოდა თავში რაიმე სანუგეშო იმედი, რომ უპატრონოდ დაგდებულ ადამიანს, ისეთ საცოდავ მდგომარეობის დროს, ვინმე ნაცნობი, ამხანაგ მეგობართაგანი, ძმურად ხელს გაუწვდენდა. და აი, პირველ ხანებში ციხის ოთხს კედელთ შორის ახალ ცხოვრების დროს ასეთ მდგომარეობაში ვიყავი: ვიწოდი და ვიტანჯოდი უპატრონოდ დარჩენილ ცოლ-შვილის საცოდაობით,—მაგრამ განვლო დრომ და აზრები სულ სხვანაირად შემეცვალა. რაკი დარწმუნებული ვიყავი რომ მათ ვერაფერს ვერ უშველიდი გადავწყვიტე ვითომ-და, მეც ისინიც უკვე ზვარაკად შემიწირია საერთო მოძრაობისათვის და ვნახოთ აწი შემდეგისათვის რას მოგვიტანს ისტორია მეთქი. მაგრამ ამასთანავე თან სირცხვილით ვიწოდი და სულ იმაზე ვფიქრობდი: რავა მეც ციხეში უნდა ვიყო, როდესაც დარწმუნებული ვარ, რომ არავითარი თვალსაჩინო სარგებლობა არ მამიტანია განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის და მე-კი აქ საუკეთესო და სახელოვან ამხანაგებთან ერთად, პოლიტიკურ კატეგორიაში, უშრომლად და დაუმსახურებლად, მეც საერთო მოძრაობის წევრი ვარ მეთქი? სულ მქონდა ლაპარაკი ჩემს ამხანაგებთან—მე დანაშაული ვარ, მე არ ვარ ღირსი „ამხანაგის“ სახელის ტარებისა, როდესაც იმ ძვირფასს მომენტებს—თავისუფლების დროს სრულად დასაკუთრად,—გამოაშკარებულის მოქმედებით, ვერ ვანდომებდი საზოგადო საქმეებს და ეხლა-კი ოთხ-კედელ შუა მომწყვდეული რაღა ვარ და რა შემიძლია თავისუფლება შევცვალო მეთქი?—მაგრამ ჩემი ასეთი გოდება-წუწუნით უარესად ბრაზდებოდნენ ჩემზე ამხანაგები,—მეუბნებოდნენ ჯერ შენ სრულიად გამოუცდელი ყოფილხარო, შენ ეხლა ხარ სცენაზე გამოსული, შენ ამ ციხის კედლებშიაც შეგიძლია თვალსაჩინო მოღვაწეობა გამოიჩინო. თუ კი რომ ენერგია და ძალა შეგწევსო და ის იყო, რომ მეც ჩავუდექ კვალ და-კვალ ახალ ცხოვრებას, შევუერთდი და შევუსისხლხორცდი ჩემ ამხანაგებთან ერთად საერთო მიმართულებას, თუმც კი ჩვენი ცხოვრების თაწვრილებით აღნიშნულობას ამ პატარა, წერილში ჩემდა დამოუკიდებელ მიზეზებისაგამო ადგილს ვერ მივცემ მაგრამ, ჩემდა სამწუხაროთ ვერც „სიმართლის“ რედაქციაში ვიპოვე ისეთი ვინმე, რომლისათვის სიტყვიერად მაინც გადამეცა ზოგიერთი საინტერესო ცნობები ჩრდილოეთში ჩვენი ცხოვრებიდან; ამისთვის პირველ რიცხვებში მე გამოვცხადდი „სიმართლის“ რედაქციაში, სადაც მინდოდა მენახა ერთი ვინმე რ. ს. დ. მ. პ. ორგანიზაციის წარმომადგენელი, რომ დაწვრილებით მეამბა მისთვის ზოგი რამ ცნობები აქედან გაგზავნილ არხანგელსკის, ვოლოგდის და ვოლონეცკის გუბერნიებში ამხანაგების ცხოვრებიდგან, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ და დღესაც იმყოფებიან ზოგიერთი ქართველები და ამასთანავე ზოგიერთი საკუთარ ჩემი ცხოვრებიდგანაც მინდოდა მეამბნა, რადგანაც „სსილკაში“ ყოფნის დროს ერთი და იმავე ალაგას კუტიით კი არ მიცხოვრია. მე ხშირად დავდიოდი ყველა პოლიტიკურ გაგზავნილებთა სხვა-და-სხვა კოლონიებში, სადაც მჭიდროდ უკავშირდებოდი საუკეთესო რუსს თუ ებრაელ ამხანაგებს, რომლებიდგანაც ვტყობილობდი რუსეთის ზოგიერთ შიდა გუბერნიებში განმათავისუფლებელი მოძრაობის მიმდინარეობას. მგზავრობდი არა მარტო სოფლებში დასახლებულებთა კოლონიებში, არამედ არხანგელსკის და ვოლოგდის გუბერნიების მაზრებში. ც კი ვიყავი ამხანაგებთა გასაცნობად, რომლებიც ისეთის სიხარულით შემგებებოდნენ, რომ სამი დღე მონდომოდა დარჩენა, ერთს კვირას ძლივ-ძლ ვობით დავახწევდი თავს. გულშიაც არ იცოდნენ რანაირად პატივი ეცათ და რით ესიამოვნებინათ ჩემთვის. ჩემ ნაამბობ კავკასიის პარტიების მოღვაწეობებიდან ყველა დიდის სიამოვნებით სიხარულით აღტაცებული მენდნენ და ჩემ თაპარაკის დროს მოუთმენლობით წამოიძახოდნენ ხოლმე:—„Кавказцы,—эти историческiе войны—и, какъ войнственный народъ, всегда самоотверженно и откровенно сражались противъ бюрократическаго гнета“.-ო. შეიძლება რომ ზოგიერთი არა მკითხველი დემოკრატებისაგან კიდევაც მივიღო საყვედური: რა უფლება ქონდა, როგორც არც ერთ პარტიის ნაცნობ პირს, უცხო-უცნობ ამხანაგებთან ერთ რომელიმე პარტიის მოღვაწეობაზე გელაპარაკნა, მაგრამ მე ამას ჩავთვლი არა ჩვეულებრივი მოვლენად, რადგანაც ქართველი დემოკრატები განა ყველა თავის ამხანაგებს იცნობენ?—მაშასადამე

*) თუმცა და „სიმართლის“ რედაქცია უკვე დახურულია, მაგრამ რადგანაც მე ვეხები არა გაზეთის მიმართულებას, არამედ თვით რედაქციის წარმომადგენლებს, მაინც საჭიროდ ვცნობ ამ წერილის დაბეჭდვას, როგორც საზოგადო ინტერესებს არა მოკლებულს. ავტ

# ფელეტონი

—

## ზეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა.

(გაგრძელება *)

სარწმუნოება ისე როგორც მისი მატარებელი ადამიანი ვითარდება საზოგადოებასთან ერთად. ზეციერი მთავრობა ჩნდება მიწიერ მთავრობასთან ერთად, ზეციერი მთავარი მიწიერ მთავართან ერთად; მიწიერი მთავრობა ასაზრდოებს ზეციერს და სამაგიეროდ ზეციერი მთავრობა აკურთხებს მიწიერ მთავრობას.

ამგვარად უთვალავი ადამიანები ერთ და იმავე პირობების: უვიცობის, ცნობის მოყვარეობის, შიშის და სიყვარულის გავლენის ქვეშ შეთანხმდენ აბსურდის და მისი წეს-რიგის არსებობაში, რომელიც რაც უფრო და უფრო ვითარდებოდა მით უფრო და უფრო აბსტრაქტული, განყენებული ხდებოდა, მით უფრო და უფრო იწევდა მაღლა და ბოლოს სარწმუნოება რელიგია მივიდა მის უმწვერვალეს განვითარებამდი—მონოთეიზმამდი, უთვალავი ღმერთები გადაიქცნენ ერთ ყოვლად შემძლე, ყოვლის მცოდნე, ყოვლად გულ-მოწყალე და სხვა მეუფედ სამყაროისა. თვით სიტყვა რელიგია, religio ნიშნავს განწყობილებას, კავშირს (связывать, re და ligare), რომელიც არსებობს სამყაროის მეუფის და სამყაროის შორის—მეუფებას, მთავრობას სამყაროის მთავრობასას. მიწიერ მთავრებს აღყავთ ღმერთები ციურ ტახტზე, ციური სკიპტროსნები კი თავის მხრით თავისი ავტორიტეტით აღლეგრძელებენ მონარქებს, მიწიერ ავტორიტეტებს.

მაგრამ დასაწყის კონკრეტული იდეია ღმერთის მიაღწია თავის ევოლიუციაში იმ აბსტრაქტულ მდგომარეობას—ერთი ღმერთის იდეას—როდესაც იწყება მისი დანგრევა და გახრწნა.

როდესაც მთის წვერს მოსცილდება პატარა ნაფლეთი და დაეშვება ქვევით, მაშინ ის მით უფრო და უფრო დიდდება, რამოდენადაც თავის დავარდნის მომენტს უახლოვდება. როგორც უკვე დავინახეთ, ნ იდეაგი, რომელზედაც აღმოცენდა და რომლითაც საზრდოობს სარწმუნოება, წარმოადგენს უზარმაზარ მთას უვიცობისას, უვიცობის მოყვარეობისას, შიშისას და ინსტიქტიურ სიყვარულისას, ერთი სიტყვით ილლიუზიების უზარმაზარ მთას, რომლის წვერიდგან გამოცალებული პატარა ილლიუზია მით უფრო იზრდებოდა თავის მოძრაობაში, რამოდენადაც უახლოვდებოდა ილლიუზიების მთის აბსტრაქციის კალთას, მაგრამ როდესაც მიაღწია დავარდნის მომენტს, ილლიუზიების ერთფეროვან და გაერთიანებულ ვაკეში, დაეცა თავისი უზარმაზარი, მაგრამ შინაგან კავშირს მოკლებული მასსით და როგორც შავი დაინგრა და განიბნა სივრცეში.

თეოლოგების და მეტაფიზიკების, ყველა ცდა რომლითაც უნდათ დააღწიონ თავი ანტროპომორფიზმს, ამაოა. სარწმუნოება და ანტროპომორფიზმი დაუშორებელნი არიან. როდესაც ადამიანი თავის პირველ ყოფილ მდგომარეობაში იძენდა შეგნებას მიზეზობრივი დამოკიდებულებისას, მაშინ ის ყველაფერს
თავისთავათ ზომავდა და პიროვ
რის არ იყოს მისთვის ყველაფ
ისე მოქმედებდა როგორც ადამია
ნი: ის ვერ არჩევდა განზრახულ
მოქმედებას განუზრახველ, ინდ
ფერენტულ მოქმედებისაგან. წა
ტიხდა ფეხს ქვაზედ, თუ მთის წვ
რიდგან მოწყვეტილი ქვა მოხვე
ბოდა, თუ მეხი დაეცემოდა მას ა
ლო, თუ ყინვა ფეხს მოსჭრი
თუ ცხოველი მზე, შიშველ სხეულ
დასწვიდა, თუ შხაპუნა წვიმა გა
რილებდა და ჩამორეცხდა
ერთი სიტყვით განიცდიდა სიამ
ნებას ან მწუხარებას, ყველა ეს
სთვის ნიშნავდა იმას, რომ ქ
მისი ფეხის ტკენა, მ ნმა მის
ლო დაცემა, წვიმამ მისი ვაგ
ლება, მზემ მისი გათბობა ან დ
ვა **ისურვეს.** თვით ენა,
მელიც უნდა აიღოთ ნაშ
ლი ცოცხალი საბუთია ა
როპომორფიზმისა, მაგალით
მზემ დამწვა, დანამ ხელი მომ
ქვამ ფეხი მატკინა, წყალმ დამ
ჩო, ავათმყოფობამ მომკლა და
გულის ხმობენ ადამიანისებურ ს
ვილს მომქმედ საგნებისა, ადამ
ყველაფერს გარეშე ბუნების მომ

*) იხილე «მუშა» № 18.

და იქნება, რახან ზოგიერთი დემოკრატები ვერც მე მიცნობდნენ როგორც ამხანაგს მაგალითად როგორც „სიმართლის“ რედაქციაში, სადაც ორ სამ საათს ვიჯექი, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ბ-ნ რედაქტორმა ვიდაც ხუნხუზს ჩემს შესახებ მიმართა „ამ ამხანაგს თქვენთან მოსალაპარაკებელი აქვს და მიიღეთ და მოისმინეთ“ მაგრამ ხუნხუზმაც კი მართლაც-და ხუნხუზურად გადაიქნია თავი ნიშნად უარყოფისა, ერთმა სულიერმაც კი არ შემოხედა ტკბილადაც არ დაინტერესებულან მე ვინ ვიყავი: ხულიგანი, ჯაშუში, თუ ამხანაგი ან და ვინ იცის თუ რა გასაჭირი და საჩქარო საქმე მქონდა, მაგრამ ყურსაც კი არავინ არ იბერტყდა, და საკვირველი ის არის, შეიძლება რაიმე ბოროტ-განზრახვით შემოველ რედაქციაში, მსურს რომ ერთერთმელიმეს ვსტყორცნო თავში ბომბა და გავქურდო, ყურადღებას მაინც არ მაქცევენ, ვინც უნდა ვიყო მტერი-თუ ამხანაგი და ამას არც ცნობის მოყვარეობა აიძულებთ, რომ უცხო-უცნობ ფიზიონომიას ერთს წუთს მაინც დააკვირდნენ, მაგრამ მახლის-სათაურო „სიმართლევ“-, რომ შენს მემანქანეებს შეუძლიანთ მხოლოდ იდეიურად შენზე ლალადება და ტეხნიკურად კი ცხოვრებაში ვერ გაგასეირნებენ. აი, „სიმართლევ“ კი ასეთი უნდა!—

კონსტანტინე ნოდია

## ახალი ამბავი

22 ივლისს თბილისში პოგრომების მოლოდინში იყვნენ! როგორც იყო ამ დღემ მშვიდობიანათ ჩაიარა.

— როგორც ახალ-ქალაქიდან გვატყობინებენ იქ ამ დღეებში მ. პაპიძესთან ღვინის გაყიდვის დროს ჩვეულებრივათ შესულან სტუმრები; შექეიფებულს სტუმრებს ხმაურობა დაუწყიათ, ამ ხმაურობაზე შემოცვინულან ყაზახები და ცემა-ტყეპით წაუსხამთ პოლიციაში მასპინძელი თავიანთი სტუმრებით მეორე დღეს როგორც ყოფილა ბოქაულს გაუნთავისუფლებია უდანაშაულოთ დასჯილნი.

— როგორც შევიტყვეთ კავკასიის სამოწავლო ოლქის მზრუნველს უმაღლესათ ებრძანა სენატში დასწრება.

— თბილ. გუბერნატორის კახეთში მოგზაურობის დროს ზოგიერთ სოფლებს უთხოვნიათ მიწები; გუბერნატორი ამის გამო შეეკითხა სახელმწიფო ადგილების გამგეს, რომ თუ შესაძლებელია დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებანი, თუ თავიანთ ადგილებიდან არა იმ შემთხვევაში სხვაგან მაინც ჩამოუჭრან.

— როგორც მკითხველებმა უწყიან ლუდის ქარხნებს ბოიკოტი ჰქონდა გამოცხადებული. 21 ივლისიდან ბოიკოტი დასრულდა.

— როგორც ამას წინათ ვწერდით, ამ დღეებში უნდა გაიხსნას ზუბალაშვილის სახალხო სახლი. ამის გამო ზუბალაშვილის ანდერძის სისრულეში მომყვანი კომისიის თავმჯდომარე სთხოვს ქალაქის გამგეობას, რომ შეადგინონ სია იმ პირთა რომელნიც ამ სახლში უნდა მიღებულ იქნენ და აგრეთვე წარუდგინონ სია ყველა სარწმუნოების ღარიბებისა, რომელნიც სახალხო სახლის გახსნის დღეს მოწვეული უნდა იქნენ.

— 21 ივლისს ნაშუადღევის 4 საათზე ინტენდანტის სამმართველოს წინ გაუსვრიათ რევოლვერები ორს პირს, რომელნიც ინტენდანტსტვოს მოსამსახურე ჯარის კაცებს შეუპყრიათ. (გოლოს კავკაზ).

— როგორც გაზეთი „კასპი“ იუწყება ბაქოში გენერალ-გუბერნატორობის შემოღება მოსალოდნელია ენკენისთვისათვისა.

— ჩვენი გაზეთის № 36-ში კორექტურული შეცდომა მოგვსვლია. გაზეთში ახალი ამბების განყოფილებაში: „შეუწირავთ აგრეთვე 100 მ. —5 მ.“ უნდა იყოს შეუწირავთ— 10 მ.—5 მანეთი.

## რუსეთი

მოსკოვის საგუბერნიო საეროპო გამგეობას მიუღია, გუშინ დეპეშა, რომ გლეხთა მოძრაობა დაიწყო, მოსკოვის, კალუგის, ტულის, ორლოვის და რიაზანის გუბერნიებში. მემამულენი, არეულობის დაწყების გამო, მირბიან თავიანთ მამულებიდგან. (ნაროდნაია გაზეტა)

—

აკლებულია საეროპო უფროსის მამული კისელ-ზაგორიანსკასა. დამწვარა 12 ცხენი. მთელი ქონება განადგურებულია და აკლებული. (ნაროდნაია გაზეტა).

—

„რუსკოე სლოვო“-ს დეპეშით ატყობინებენ სოფიიდგან, რომ ბოლგარიის სოციალისტებმა, რუს მწერლის კულიაბკო-კორეცკის მონაწილეობით, გამართეს მიტინგი სადაც თანაგრძნობა გამოუცხადეს რუსეთის გამანთავისუფლებელ მოძრაობას. რუსეთის ოფიციალურ წარმომადგენელმა, განუცხადა თუ წერილობითი პროტესტი ბოლგარიის მთავრობას და შეეკითხა როდის მოეღება ბოლო ამნაირ კრებებს და რა ზომებია მიღებული? ბოლგარიის მთავრობამ უპასუხა რომ ნება არა აქვს მთავრობას მიიღოს რამე ღონე კრებების წინააღმდეგ, რადგანაც ბოლგარიის კონსტიტუციის ძალით ნება დართულია.

—

ვარშავაში ხელ-მეორედ შემოუღიათ ცენზურა, გაზეთების დეპეშებისათვის. (რუსკოე სლოვო)

—

სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარემ, ვიბორგში ყოფნის დროს მიიღო ქალაქ დუბლინის მუნიციპალიტეტიდგან თანაგრძნობი დეპეშა. (XX ვეკ)

—

პეტერბურგის გუბერნატორმა მიიღო მოწერილობა, ყოველივე ზომა მიიღოს, რომ არ გავრცელდეს მოწოდებანი სახელმწიფო სათათბიროსი. (XX ვეკ)

—

ბრძანებაა გამოსული, რომ ხელმეორედ შეიარაღონ ჟანდარმები. (XX ვეკ.)

## კორესპონდენცია

**სოფ. ანაგა.** ქიზიყი. ამას წინეთ ჩვენს მხარეს ეწვია თფილისის გუბერნატორი თავისი მხლებლებით და ცოტა ხანს აქაურ ქსენონში ჩამოხტა. აქ მას შეეგებნენ ქიზიყის წარმომადგენელნი, რომელთაც წი-

---

აგენტებს თავის თავს ადარებდა: თვითონ მოძრაობდა, წყალი და ღრუბელი მოძრაობდენ აგრეთვე; თვითონ სურდა მოძრაობა, მაშასადამე წყალსაც და ღრუბელსაც სურდათ მოძრაობა.

ადამიანი ხედვიდა, რომ თავისი მკლავი გაანძრია **იმიტომ**, რომ პირში საჭმელი ჩაედო ან მტერი მოეგერებია. როდესაც ადამიანი თავისთავს ჰკითხავდა **რატომ** დავდივარ მე? **რატომ** გავანძრიე მკლავი? **რატომ** ამოვარდა გრიგალი? იმიტომ, რომ **მე მსურს, მას სურს.** ეს იყო და ეს, მაგრამ ეს არაფერი არ არის, საჭიროა კიდევ ვიცოდეთ, რატომ გვსურს და რა არის თვით სურვილი, ამგვარად ადამიანი ეჩვეოდა კითხვის დასმას: რატომ, რისთვის, რადგან ის ხედვიდა, რატომ მას სურვილი ამოძრავებდა და ამასთანავე რამეისთვის, ე. ი. მასში იბადებოდა ისეთი მიზეზობრივი დამოკიდებულება, რომლითაც ფაქტი კი არ იყო მიზეზი არამედ განზრახულება, განზრახულება, რომელიც ამოფარებული იყო ფაქტის უკან. ამნაირად დაიბადა და გაიზარდა ადამიანში წმინდა ანტროპომორფისტული მიზეზობრივობა. ამგვარი მიზეზობრივობას არ არის მოკლებული დღესაც მეცნიერების და ფილოსოფიის უმეტესი ნაწილი.

აი, ამგვარმა შეგნებამ ანტროპომორფისტულ მიზეზობრივობასამ მიიყვანა კაცობრიობის გონება იქამდი, რომ დასვა კითხვა, თუ მე ვარ შემქმნელი ჩემი ნამოქმედარის, მაშასადამე ბუნება როგორც ნამოქმედარი საჭიროებს შემოქმედს; მე თუ მიზეზი ვარ ყველა ჩემი მოქმედების, მაშასადამე ბუნებას, სამყაროსაც უნდა ჰქონდეს მიზეზი რომელმაც ის წარმოშვა როგორც თავის მოქმედების შედეგი.

ერთი მხრით ადამიანი ხედვიდა რომ ის იყო ავტორი, მიზეზი თავის მოქმედების და ვერ ხედვიდა, რომ ის იყო მხოლოდ მიუცილებელი პირობა. ამიტომ ყველა ისეთი მოვლენები და ფაქტები, რომლების მიზეზი, ავტორი თვით არ არის, უსათუოთ მისი მსგავსი არსება ჰყავს ავტორად, მიზეზად, რომელსაც ამოძრავებს სურვილი იმ გვარადვე, როგორც მას.

მეორე მხრით ადამიანი ხედავდა, რომ ბუნების მოვლენები მოქმედებდენ ან მის სასარგებლოდ, სასიამოვნოდ, ან მის წინააღმდეგ, სამწუხაროთ, ე. ი. ამ მოვლენებს, ფაქტებს ჰქონდათ ისეთივე **მიზანი**, როგორც თვით ადამიანს, მიზანი და სურვილი კი დაუშორებელი არიან ერთი მეორესაგან.

ცხადია მაშასადამე, რომ **ზეციერი განგება** წარმოიშვა **მიწიერ განგებამ**, ზეციერი გამგე ღმერთი, მიწიერ **გამგე კაცმა.**

ვნახოთ ეხლა როგორია ეს ზეციერი გამგე და მისი განგება, შეიძლება თუ არა მისი არსებობის და და მოღვაწეობის გამართლება და დამტკიცება.

როდესაც კაბადოკიელი, აპოლლონიოსი (ტიანიდგან) თავის მისნურ მოღვაწეობას და უკვდავი სულის ქადაგებას უკავშირებდა პითაგორის სარწმუნოებრივ ფანტაზიებს, მაშინ ალექსანდრიელი ფილონი ამყნიდა ერთი მეორეს მოსეს და პლატონის მოძღვრებას. ურიებმა, როგორც უკვე ვთქვით (ფილონი ურია იყო), რომაელების ხელში ჩავარდნამდი გამოსცადეს ჯერ ასირიელების და და ბაბილონელებისაგან, შემდეგ სპარსელებისაგან და ბოლოს მაკედონელებისაგან ტანჯვა და ნაციონალური ჩაგვრა ამოდენი აწიოკების და დაჩაგვრის წყალობით ისინი განიბნენ მაშინდელ ქვეყნის ყველა კუთხეში და წაიღეს ყოველგან თავიანთი **ერთი ნაციონალური ღმერთის** იდეა და ამგვარად გადააქციეს ინტერნაციონალურ **მსოფლიო ღმერთად.**

ალექსანდრიის ურიებმა არისტობულმა და ფილონმა მესსია ებრაელ წინასწარმეტყველებისა გადააქციეს lergos-ად (გონება разумъ) და verbe-ად სიტყვას слово). ამ გვარად ბიბლია, პლატონი, ფილონი, და პლოტინი გახდნენ ქრისტიანული სარწმუნოების წყარო. ებრაელებს **ნაციონალური** ერთი **ღმერთი** შეიქმნა მთელი ქრისტიანული კაცობრიობის ერთ საყოველთაო, **საერთო ღმერთად** პლატონის, პლოტინის, სოკრატის და არისტოტელის საშუალებით როგორც იყო ურიების, ერთი ღმერთი.

ებრაელების ღმერთი წარმოდგენილი იყო როგორც მიზეზი, რომელსაც სრულიად დამოკიდებულია თავის შედეგიდან და იმოდენად განყოფილია თავის ნაწარმო-

ნა დღითვე შეტყობინებული ჰქონდათ, რომ გამოცხადებულიყვნენ და თუ სათხოვარი ჰქონდათ რამე ეთხოვნათ. ჩამოხდა თუ არა გუბერნატორი, მაშინვე ხალხს მიჰმართა: „აბა, ვის რა სათხოვნელი აქვსო?“ ანაგის საზოგადოებამ აუხსნა, თუ რა გაჭირვებაში ჩავარდნენ ალაზანს გაღმა, რომ მიწები ჩამოართვეს, და გადმოსახლებულ რუსებს მიუზომეს: ამაზე გუბერნატორმა უპასუხა, რო თქვენი ინტერესები ჩემთვის იგეთივე ძვირფასია, როგორც გადმოსახლებულებისაო და თუ თქვენი მიწები იმათ მიუზომეს მე გიშუამდგომლებთ, რომ თქვენ კიდე სხვაგან მოგცენ მიწებიო. ამ სიტყვებმა ისე აალელვა ხალხი, რო გაბრაზებული იძახდნენ, ან სულ გაგვწყვიტეთ, ან სულ გადაგვასახლეთ სადმე, უმაგ მიწებოთ. კი რომელიც ჩვენი მამა-პაპის სისხლით არის მორწყული და ათას, წლობით ჩვენ გვიჭერია, არ შეგვიძლიან ცხოვრებაო. გუბერნატორმა რა ნახა ეს აღელვებული, ხალხი, როგორმე რომ დაეშოშინებინა უთხრა: „ყველაფერი რაც რა სათქმელი გაქვთ მაგის შესახებ, ქაღალდზე დაწერილი მომრიგებელ შუამავლის ხელით გამომიგზავნეთ და გიშუამდგომლებთო“. სთხოვეს კიდევ რომ მარტო სამრევლო სკოლებს არაფერი სარგებლობა არ მოაქვსო და დაგვიარსეთ შუა ქიზიყში საშუალო სამეურნეო სასწავლებელი ხაზინის ხარჯითაო. ამაზედაც დაჰპირდა გიშუამდგომლებთო, მით უმეტეს, რომ ქიზიყელები მდიდარი ხალხი ხართო და თუნდ ხაზინა არ შეგეწიოთ, თქვენც შეგიძლიანთ შეინახოთო.

ერთი სიტყვით ბ-მა გუბერნატორმა დიდი სიყვარულობა გამოიჩინა და ჩვეულებრივ ბიუროკრატიულათ, მარტო სიტყვით ყველაფერზე აღთქმა-შეწევნა აღგვითქვა, საქმით ჯერ კი არა ყოფილა მაგალითი როდისმე რამე ესრულებინოთ.

მაგრამ ჩვენ ქიზიყელებს, ასის წლის გამოცდილებამ ჰკვა ვერ ასწავლა და კიდევ მართავენ თხოვნით იმათ, რომლებიც აუარებელ გადასახადებით ტყავს აძრობენ და მათ დაუკითხავათ ესე უნამუსოთ ხელიდან აცლიან მთელ მათ საცხოვრებელს, ართმევენ იმ მიწებს, რომლებიც შეადგენს ამათ ცხოვრების სალსარს და ეხლა სულ მშრალზე სტოვებენ.

თუ მართლაც, ეხლა მაინც არ უღალატა ჩვენმა მართველობამ თავის ჩვეულებას, და დროზე არ დაუბრუნა თავიანთი მიწები, დარწმუნებული ვარ ეხლა კი აიმსება ქიზიყელების ფიალა და ძალიან ცუდი შედეგიც მოჰყვება, რადგან როგორც თევზს უწყლოთ, ისე უმიწებოთ ქიზიყელებს ცხოვრება არ შეუძლიანთ.

მოვაგონებ კიდევ ქიზიყელებს, რომ თუ თავიანთ თავს თითონ არ უპატრონეს, უმორჩილესი თხოვნებით სისხლის მწოვლებისაგან არა გამოვა რა.

ანაველი.

## დეპეშები

(რუსეთის სადეპეშო სააგენ).

**რეველი.** 20 ივლისს ღამე ს კრეისერი „პამიატ აზოვაზე“ გაჩნდა სტატსკი, გადაცმული მატროსი; კომანდამ უარი განაცხადა მის დაჭერაზე და მოჰკლა კომანდირი და ოთხი ოფიცერი. ზოგიერთები ოფიცრები გადაჯდნენ კატერზედ, რომელნიც შემდეგ სროლით დაღუპეს. ოფიცერნი გადარჩნენ ცურვით. კრეისერმა დაუწყო სროლა, მინონოსკას № 106, მაგრამ უშედეგოდ, რომელთაც უარი განაცხადეს მიეღოთ მონაწილეობა აჯანყებაში. ნავით საღამოს რეველში მოვიდნენ გემით კრეისერიდან, რომ მოელაპარაკათ ჯარისკაცებთან, რომ ისინი შეერთებოდენ მატროსებს. დაჭერილია 8 მატროსი და ერთი აგიტატორი სტუდენტი. 8 საათზე „პამიატ-აზოვა“-ს კომანდა დანებდა.

**სარატოვი.** სოფელ ტერნოვში, ატარხის მაზრაში, გლეხებმა წაართვენს 50 დესეტინა მიწა სამღვდელოებას.

**სამარა.** ცეცხლმა გაანადგურა 4 უბანი და დაზიანებულია ეკკლესია.

**პეტერბურგი.** ცნობა, რომ ვითომ ადმირალი ბეკლემიშევი, მოკლულია სწორეთ არის, იგი დაჭრილია „პრავიტელსტვენი ვესტნ.“-ში დაბეჭდილია კრონშტატში სამხედრო საველე სასამართლომ, კრონშტატში მომხდარ 20 ივლისს არეულობაში მონაწილებს მიუსაჯა შვიდს მატროს, ოფიცრების მოკვლისათვის სიკვდილით დასჯა. რომელიც სისრულეში იქმნა მოყვანილი 20 ივლისს.

— სვეაბორგში არეულობის დაწყობის იმავე დროს, წითელ-გვარდია ცდილობდა, რომ ჰელსინგფორში მოეხდინა არეულობა. მოხდა შეჯახება წითელ გვარდიელებს და პოლიციელთა შორის. გამოწვეული იქმნა ჯარი. არიან მკვდრები და დაჭრილნი. წესიერება აღდგენილ იქმნა. წითელ გვარდიის უფროსი კოკი დაპატიმრებულია.

**პეტერბურგი.** დაჭერილია გაზეთები „რავენსტვო“ „რეჩ“ და „რეფორმა“.

**ტომსკი.** დაჭრილია სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, თავმჯდომარეთი.

**ბელგრადი.** არეულობა ბოსნიაში, გრძელდება

**სამარა.** სიღამოს ექვსს საათზედ ყუმბარით მოჰკლეს გუბერნატორი. მას თავი მოვარდა. ფეხი მოსტყდა მეეტლეს. მსროლელი მიიმალა.

**რეველი.** ნაპირზე გადმოიყვანეს 259 მატროსი „პამიატ-აზოვიდგან,“ რომელნიც მონაწილეობას იღებდნენ არეულობაში. არეულობა ჩააქრეს მარჯვენა ბორტზედ კონდუკტორმა ოგურცოვმა, და მარცხნაზე კი კონდუკტორებმა იანსენმა და დავიდოვმა. მოკლულია კაპიტანი ლოძინსკი, ლეიტენანტი ზახაროვი და უნკოვსკი, მიჩმანი ზბოროვსკი, ინჟინერი მაქსიმოვი, ექიმი სოკოლოვსკი, მექანიკი ტროფიმოვი და კონდუკტორი დავიდოვი. მძიმედაა დაჭრილი კაპიტანი მაზუროვი და მსუბუქად ლეიტენტი ვერდეროვსკი და სიმპერენიკოვი და ღვდელი მამა კლავდი. მოკლული და დაჭრილია მატროსები ორმოცდა-ათამდე.

**კავკავი.** სამურის პოლკში არეულობის დროს, მოჰკლეს კამანდირი ლემკული, პოდპოლკოვნიკი პოკროვსკი, მღვდელი პალმოვი, კაპიტანი სარქისოვი და შტაბს-კაპიტანი მორგუნოვი. დაჭრილია კაპიტანი ხარლამოვი და პორუჩიკი გრინკევიჩი. ჯარის კაცნი მოკლულია ორი და ორიც დაჭრილია.

რედაქტორ გამომცემელი
**მიხეილ დიასამიძე.**

ებიდგენ, შექმნილიდგან, რამოდენად დამოკიდებული და გაყოფილია თავის ნაწარმოებიდგან მუშა. ამგვარად მათი ღმერთი ჰქმნის სამყაროს არა თავისი არსებითობის ბუნებრივი და აუცილებელი ემანაციის საშუალებით, არამედ სრულებით თავისუფლად; და მსოფლიოს შორის გაუვალი უფსკრულია. მას მსოფლიო სრულებით არ სჭირია და თუ იმან მსოფლიო შეჰქმნა, ეს მხოლოდ თავისი თავისუფალ ნებით, სურვილით, რომელსაც გარდა თავისუფლებისა არავითარი მიზეზი არ ამოქმედებს, ე. ი. უმიზეზოდ თავის თავად მოქმედი მიზეზია.

ის განუსაზღვრელი და შემოუფარგვლელი კანონ-მდებელი, მსაჯულია და ულმობელი, მკაცრი მეომარი და დამსჯელია თავის დადგენილებათა დარღვევისათვის. თვით ებრაელების სახელმწიფოებრივი პოლიტიკა წმინდათ თეოკრატიულია. სამუილი ამბს: „ღმერთმა სთქვა, აი როგორი იქნება უფლება მეფის, რომელმაც თქვენ უნდა გმართოს: ის წაგართმევს თქვენ ბავშვებს თავისი ეტლებისთვის და გახდის მათ მხედრებად, რომლებმაც უნდა გაუძღვნენ წინ მის ეტლს... ის გახდის თქვენ ქალიშვილებს მზარეულებათ და პურის მცხობელათ... ის წაიღებს ყველა საუკეთესო ნაყოფს თქვენი მინდვრებისას. ის წაიყვანს თქვენ მოსამსახურებს და მოახლეებს და თქვენი ჯოგების ათის თავს. მაშინ თქვენ დაიწყებთ გოდებას თქვენი მეფობის წინაღმდეგ, მეფეების რომელიც თქვენ თითონ ამოირჩიეთ, და ღმერთი არ მოგისმენთ თქვენ“.

პლატონის და არისტოტელის ფილოსოფიები, რომლებიც შედუღებულ იქმნენ ფილონის პოლტინის და სხვათა მეოხებით ბიბლიის ლატაკ ფილოსოფიას, პირდაპირ მომდინარეობენ სოკრატის ფილოსოფიისაგან, სოკრატის ღმერთი მათი ღმერთი იყო და მისი ტეოდიცეა სულ ცოტათია დაშორებული სოკრატის თეოდიცეიდგან.

სოკრატი ღმერთის არსებობას ტკიცებდა ორ გვარად: მომქმედი მიზეზის არსებობით და საბოლოვო სამიზნო მიზეზის არსებობით. მისი აზრით ჩვენ გონება (разумъ) გვაქვს და მაშასადამე ის რაც ჩვენ გვაქვს სამყაროს წარმომშობელი მიზეზი უნდა იყოს, ე. ი. სამყაროში არსებობს გონება, რომლის ნაწილი ან რომლისაგანაც ჩვენი გონება წარმოსდგება. ამგვარად არსებობს მომქმედი მიზეზი; სამყაროში ყველაფერი საუკეთესოდ არის მოწყობილი, ე. ი. **ყველაფერს მიზანი აქვს**, რაშიდაც ცხადად გვარწმუნებს მაგალითად ადამიანის სხეულის ორგანოები, რომლებიც საოცრად მოხერხებული არიან ადამიანის ფუნქციების ასასრულებლად. (ამგვარ შეხედულებას დღევანდელი ევოლიუციონისტური ბიოლოგია უარს ჰყოფს) იხილე ჰეკელი les org. rudiment); რადგან მსოფლიოში ყველაფერი ადამიანის სასარგებლოდ არის მოწყობილი, მაშასადამე, სოკრატის აზრით, ყველაფერი განგების (провидѣніе), pronoia-ს საქმეა. რადგან მსოფლიოში, სადაც ყველაფერს თავისი მიზანი აქვს, ერთია, ამიტომ განგებაც, სოკრატის ღმერთიც ერთია, რომელმაც შექმნა ყოველივე თავისი დანიშნულებით. ღმერთი, ისიც თანაარსებითია მსოფლიოს, როგორც თანაარსებითია (присуща) სხეულის ქსენოფონის გადმოცემით სოკრატის ღმერთი ისეთია, რომელიც „ხედავს ყველაფერს, ესმის ყველაფერი, არის ყოველგან, და ფხიზლობს ყველაფერზედ.“

ანაქისაგორმა მომქმედი, მამოძრავებელი მიზეზი გამოიგონა, ანაქსაგორის მამოძრავებე მიზეზს, causa causalis სოკრატმა მიუმატა სამიზნო, საბოლოვოლ მიზეზი, causa finalis და ამით შეასრულა ღვთაების ხიმერიული სურათი.

პლატონმა გააუმჯობესა თავისი მასწავლებლის, სოკრატის ხიმერის დასურათება.

ალი.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურთბისა.